ნიკოლოზ ბაკაშვილი

დაიბადა 1965 წლის 30 აგვისტოს სიღნაღის რაიონის სოფელ საქობოში.

1972 წელს შევიდა და 1982 წელს წარჩინებით დაამთავრა სიღნაღის რაიონის სოფელ საქობოს საშუალო სკოლა.

1982 წელს შევიდა და 1988 წელს წარჩინებით დაამთავრა თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტი.

1991 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია და მიენიჭა ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი.

1995 წელს მიენიჭა დოცენტის სამეცნიერო-პედაგოგიური წოდება.

1995 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია და მიენიჭა ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი.

2000 წელს მიენიჭა პროფესორის სამეცნიერო-პედაგოგიური წოდება.

1995 წლიდან დღემდე - შპს ,,აუდიტორული ფირმა ,,ბაკაშვილი და კომპანია''-ს დირექტორი.

1997 წლიდან დღემდე თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.

საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 10 ნოემბრის N636 ბრძანებით მიენიჭა ახალგაზრდა მეცნიერთა პირველი ხარისხის საპრეზიდენტო სტიპენდია.

1991-1993 წწ-ში - თბილისის მართვის ინსტიტუციის პრორექტორი.

1993-1995 წწ-ში - კომერციული ბანკი ,,კვარი''-ს მმართველი.

2001-2003 წწ-ში - სააქციო საზოგადოება ,,აზოტი''-ს რეაბილიტაციის მმართველი.

2001-2004 წწ-ში - სააქციო საზოგადოება ,,აისბერგი''-ს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე.

2004-2006 წწ-ში - შპს ,,ფოსტროუზ ჯორჯია''-ს გენერალური დირექტორი.

2006-2011 წწ-ში - შპს ,,ხაშმი''-ს, შპს ,,ავჭალა''-ს, ასოციაცია (კავშირი) ,,საქართველოს ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის'', შპს ,,თბილისი''-ს, შპს ,,საქენერგო - 2000''-ის გაკოტრების მმართველი.

2007-2010 წწ-ში - შპს ,,ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის'' მეურვე.

2010 წლიდან საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, აკადემიკოსი.

2012 წლიდან - საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, აკადემიკოსი.

1995 წლიდან არის სერტიფიცირებული აუდიტორი .

2010 წლიდან არის სერტიფიცირებული შემფასებელი.

გამოქვეყნებული აქვს 53 სამეცნიერო ნაშრომი , მათ შორის - 10 მონოგრაფია.

ჰყავს მეუღლე - დარეჯან მესხიშვილი, თბილისის სახელმწიფო უნუვერსიტეტის პროფესორი და ორი ქალიშვილი: ნანა და დალი.